

შპს „გარდაბნის თბოსადგური“



სატენდერო დოკუმენტაცია

ელექტრონული ტენდერი

ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა

CPV66514110

## **1. შესყიდვის ობიექტი**

1.1 შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ ავტოტრანსპორტის სადაზღვევო მომსახურების (შემდგომში - მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვა, თანდართული ტექნიკური პირობების დანართი №1-ისა (მომსახურების გაწევის პირობები) და დანართი №2-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.

- სიტყვა „მზღვეველი“ – გულისხმობს „მიმწოდებელს“ (შემდგომში - მიმწოდებელი/მზღვეველი);
- სიტყვა „დაზღვეული“ – გულისხმობს „შემსყიდველს“ (შემდგომში - შემსყიდველი/დამზღვევი);
- სიტყვა „ავტოტრანსპორტი“ – გულისხმობს დანართი №2-ით (ფასების ცხრილი) განსაზღვრულ ავტოსატრანსპორტო საშუალებას.

## **2. პრეტენდენტის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტ(ებ)ი** - არ გამოიყენება

### **3. მომსახურების განხორციელების ვადა, პირობები და არეალი:**

3.1 მიმწოდებელმა/მზღვეველმა უნდა უზრუნველყოფს დანართი №2-ით (ფასების ცხრილი) განსაზღვრული შემსყიდველის/დამზღვევის კანონიერ სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის დაზღვევა.

3.2 მომსახურების განხორციელების საერთო ვადა: მიმწოდებელი/მზღვეველი ვალდებულია განახორციელოს სადაზღვევო მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის განმავლობაში;

**3.3 მომსახურების განხორციელების არეალი: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი.**

### **4. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება, პრეტენდენტის წინადადების ფასი და ანგარიშსწორების პირობები**

4.1 შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 12'722 ლარი და მოიცავს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს (დღგ-ს გარდა);

4.2 შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში - სისტემა) წინადადების ფასი დაფიქსირებულ უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა გადასახადის გათვალისწინებით (დღგ-ს გარდა);

4.3 წინადადების ფასად განიხილება სისტემის მეშვეობით შესყიდვის ელექტრონული ტენდერის შესაბამის ველში დაფიქსირებული ფასი;

4.4 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული (პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულება) საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია პრეისკურანტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში (არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა), პრეტენდენტი ვალდებულია უზრუნველყოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება (პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ ან სხვა აკრედიტირებული პირის ან დამოუკიდებელი სერტიფიცირებული აუდიტორის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის აკრედიტაციის/სერტიფიცირების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი), რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

- იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ან წარმოდგენილი დასაბუთება შემსყიდველის მიერ არ ჩაითვლება დამაკმაყოფილებლად, მოხდება პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია;

- პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება დაზუსტებას არ ექვემდებარება.

4.5 ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას;

4.7 პრეტენდენტის მიერ მექანიკური შეცდომის დაშვების შემთხვევაში, როგორცაა არასწორი ჯამის ან ნამრავლის მითითება, სიტყვიერი და ციფრობრივი გამოსახულების შეუსაბამობა, შემსყიდველის მიერ ფასის განსაზღვრა შესაძლებელია ერთეულის ფასის უპირატესობის პრინციპის გათვალისწინებით. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული არ აღემატება სისტემის შესაბამის ველში დაფიქსირებულ ფასს;

4.8 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან/მზღვეველთან განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ყოველკვარტალურად, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად, ყოველი საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ წარმოდგენილი ინვოისისა და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშსწორების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს). მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის დროულად (საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის 9 რიცხვამდე) გაუფორმებლობის შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ინვოისის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში. თუ მომსახურების მიწოდება განხორციელდება არასრულ თვეზე, მაშინ ასანაზღაურებელი თანხა დაანგარიშდება დღეების პროპორციულად;

### **5. ზოგადი პირობები**

5.1 პრეტენდენტს უფლება აქვს წარმოადგინოს მხოლოდ ერთი სატენდერო წინადადება;

5.2 ელექტრონულ სისტემაში ატვირთული პრეტენდენტის მიერ შექმნილი ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა);

5.3 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში (დანართი №4), რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შესაძლებელია დაზუსტდეს სატენდერო წინადადების შესაბამისად;

5.4 სატენდერო დოკუმენტაციით მოთხოვნილი, ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი ყველა დოკუმენტ(ებ)ი წარმოდგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე; დოკუმენტების და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი;

5.5 ტენდერში ამხანაგობის მონაწილეობის შემთხვევაში, პრეტენდენტი ვალდებულია იმოქმედოს „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 10<sup>1</sup> მუხლის მოთხოვნათა სრული დაცვით.

## **6. ინფორმაცია პრეტენდენტისათვის**

6.1 შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ერთიანი ელექტრონული სისტემის კითხვა/პასუხის მოდულის მეშვეობით, პრეტენდენტის მოთხოვნის შემთხვევაში, განახორციელოს სატენდერო განცხადებასთან და დოკუმენტაციასთან დაკავშირებით შესაბამისი დაზუსტება/განმარტება;

6.2 შემსყიდველ ორგანიზაციასა და პრეტენდენტს შორის ნებისმიერი მიმოწერა/შეტყობინების გაგზავნა ხდება სისტემის შესაბამისი მოდულის მეშვეობით და სისტემის გამოყენების გარეშე მიმოწერა/შეტყობინება სავალდებულო არ არის. მიმოწერა/შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება მისი სისტემაში ატვირთვის მომენტიდან;

6.3 სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტს შეუძლია სატენდერო კომისიის აპარატში.

საკონტაქტო პირი: ნათია ბოქოლიშვილი - 995 32 2 99 12 01 (დამ. 308), მობ 555 254747.).

## **7. მოთხოვნები პრეტენდენტის მიმართ**

7.1 პრეტენდენტს უნდა გააჩნდეს შესაბამისი საქმიანობის მოქმედი ლიცენზია;

7.2 პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ანალოგიური მომსახურების გაწევის გამოცდილების დამადასტურებელი არანაკლებ 1 დადებითი რეკომენდაცია, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მოთხოვნებს (აღნიშნული მოთხოვნების დამადასტურებელი ინფორმაცია უნდა იყოს მითითებული რეკომენდაციებში):

- გაცემული უნდა იყოს ისეთი ორგანიზაციის მიერ, რომელსაც უნდა გააჩნდეს მინიმუმ 30 ერთეული ავტოტრანსპორტი;
- რეკომენდაციაში უნდა იყოს აღნიშნული, თუ რამდენად ხარისხიანად და სრულად შეასრულა მიმწოდებელმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება;
- რეკომენდაციას უნდა დაერთოს მასში მოხსენიებული სადაზღვევო ხელშეკრულება ან/და რეკომენდაციაში უნდა იყოს მითითება შესაბამის CMR/SPA/NAT ნომერზე;
- რეკომენდაციაში მითითებული მომსახურების გაწევის პერიოდი უნდა იყოს მინიმუმ 12 თვე და დასრულებული უნდა იყოს აღნიშნული პერიოდის მინიმუმ ნახევარი, ხოლო მომსახურების გაწევის დაწყების თარიღი უნდა იყოს არაუადრეს 2015 წლის 1 იანვრისა.

## **8. პრეტენდენტის მიერ სისტემაში ასატვირთი ტექნიკური დოკუმენტაცია/ინფორმაცია**

8.1 ფასების ცხრილი, დანართი №2-ის შესაბამისად;

8.2 პრეტენდენტის რეკვიზიტები, დანართი №3-ის შესაბამისად;

8.3 შესაბამისი საქმიანობის მოქმედი ლიცენზია (პუნქტი 7.1);

8.4 დადებითი სარეკომენდაციო წერილ(ებ)ი (პუნქტი 7.2);

8.5 თანხმობა სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრულ ტექნიკურ პირობებზე (არსებული ტექნიკური პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად უარესდება პირობები „შემსყიდველი“ ორგანიზაციისათვის. პირობების გაუმჯობესება არ წარმოადგენს პრეტენდენტის უპირატესობას).

## **დანართი №1 - მომსახურების გაწევის პირობები**

1. მიმწოდებელმა/მზღვეველმა უნდა უზრუნველყოფს შპს „გარდაბნის თბოსადგურის“ (შემდგომში - დამზღვევი) კანონიერ სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის დაზღვევა ხელშეკრულების, დანართი #1-ისა (მომსახურების გაწევის პირობები) და დანართი #2-ის (ფასების ცხრილი) პირობების შესაბამისად და შემდეგი სადაზღვევო რისკებისაგან:

1.1. ავტოსატრანსპორტისათვის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული დაზიანება, ხანძარი, აფეთქება, დაზღვევის საგნის გატაცება (კერძოდ: ქურდობა, მარცვა, ყაჩაღობა), გატაცების (კერძოდ: ქურდობა, მარცვა, ყაჩაღობა) მცდელობა, გარდა დანართ #2-ში (მომსახურების გაწევის პირობები) მითითებული გამონაკლისებისა; ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის დაზღვევის არაანაზღაურებადი მინიმუმის (უპირობო ფრანშიზის) ოდენობა განისაზღვრება ნულოვანი ფრანშიზით.

1.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე 10000,00 (ათი ათასი) აშშ დოლარი (ანგარიშსწორების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი კურსით ლარებში), ნულოვანი ფრანშიზით; კერძოდ, დაზღვეული ავტოსატრანსპორტის უფლებამოსილი მძღოლის მიერ ექსპლუატაციისას მესამე პირის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და/ან ქონებისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის დადგომა;

1.3. მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან, ლიმიტი თითოეულ ავტომობილზე 10000,00 (ათი ათასი) აშშ დოლარი; ლიმიტი პიროვნებაზე 2500,00 (ორი ათას ხუთასი) აშშ დოლარი (ანგარიშსწორების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი კურსით ლარებში), ნულოვანი ფრანშიზით.

2. მიმწოდებელმა/მზღვეველმა უნდა უზრუნველყოფს დანართი №2-ით (ფასების ცხრილი) განსაზღვრული შემსყიდველის/დამზღვევის კანონიერ სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის დაზღვევა. მიმწოდებელი/მზღვეველი ვალდებულია განახორციელოს სადაზღვევო მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის განმავლობაში.

3. მიმწოდებელმა/მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის დაზღვევის ინდივიდუალური სადაზღვევო პოლისების გაცემა. აღნიშნულ პოლისებზე მთლიანად ვრცელდება ხელშეკრულების, დანართი #1-ისა (მომსახურების გაწევის პირობები) და დანართი #2-ის (ფასების ცხრილი) პირობების მოთხოვნები, მიუხედავად ასეთი პოლისების მოქმედების ვადისა. ხსენებული სადაზღვევო პოლისები წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

4. სადაზღვევო პრემიის დროულად, ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში გადაუხდელობის შემთხვევაში, მიმწოდებლის/მზღვეველის მხრიდან განისაზღვრება პრემიის გადახდის ორკვირიანი დამატებითი ვადა. თუ ამ ვადის გასვლის შემდგომ ადგილი ექნება სადაზღვევო შემთხვევას და გადახდა არ იქნება განხორციელებული, მიმწოდებელი/მზღვეველი თავისუფლდება ანაზღაურების მოვალეობისაგან. ამასთან, პრემიის დროულად გადაუხდელობისას მიმწოდებელი/მზღვეველი უფლებას იტოვებს ერთი თვით ადრე წერილობითი შეტყობინების საფუძველზე და ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ცალმხრივად გააუქმოს სადაზღვევო პოლისი. გარდა აღნიშნულისა, მიმწოდებელს/მზღვეველს არ აქვს უფლება შემსყიდველთან/დამზღვევთან შეთანხმების გარეშე ცალმხრივად გააუქმოს სადაზღვევო პოლისი.

4<sup>1</sup>. შემსყიდველის/დამზღვევის მიერ სადაზღვევო პოლისის გაუქმების მოთხოვნის შემთხვევაში შემსყიდველი/დამზღვევი ვალდებულია გაუგზავნოს მიმწოდებელს/მზღვეველს წერილობითი შეტყობინება მის (მიმწოდებლის/მზღვეველის) იურიდიულ მისამართზე 15 დღიანი ვადის დაცვით. სადაზღვევო პოლისი უქმდება შეტყობინებაში მითითებული თარიღიდან, ყოველგვარი დამატებითი გადასახადისა და ჯარიმების გარეშე.

## **5. დაზღვევის პირობები**

5.1. ავტოსატრანსპორტისათვის გარეგანი ზემოქმედებით მიყენებული დაზიანების, ხანძარის, აფეთქების, დაზღვევის საგნის გატაცების, გატაცების მცდელობისას (კერძოდ: ქურდობა, მარცვა, ყაჩაღობა) მიმწოდებელი/მზღვეველი განახორციელებს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემას სადაზღვევო თანხის ფარგლებში, წინამორბედ შემთხვევებზე (ასეთის არსებობისას) გაცემული თანხების (ანაზღაურების) გათვალისწინებით;

5.1.1 იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტოსატრანსპორტის ან მისი ნაწილების დაზიანება ან განადგურება გამოწვეულია შემდეგით:

ა) ავტოსაგზაო შემთხვევა;

ბ) ავტოსატრანსპორტის გატაცება ან გატაცების მცდელობა (კერძოდ, ქურდობის, მარცვის, ყაჩაღობის) დროს;

გ) ხანძარი, აფეთქება, საგნების დაცემა;

დ) სტიქიური მოვლენები (სეტყვა, მიწისძვრა, წყალდიდობა);

ე) მინების, სარკეების, დეტალებისა და აქსესუარების დაზიანება/ქურდობა;

ვ) ვანდალიზმი

ანაზღაურებას ექვემდებარება როგორც სრული, ისე ნაწილობრივი დაზიანება.

5.1.2. მიმწოდებელი/მზღვეველი უზრუნველყოფს შემდეგი ტიპის მომსახურებას (სადაზღვევო შემთხვევისას ან/და მისგან დამოუკიდებლად):

- ა) საწვავის ადგილზე მიტანას (გარდაბანი და მისი შემოგარენი 25 კმ. რადიუსში);
- ბ) საბურავის გამოცვლას (გარდაბანი და მისი შემოგარენი 25 კმ. რადიუსში);
- გ) ავტომობილის დაქოქვას (გარდაბანი და მისი შემოგარენი 25 კმ. რადიუსში);
- დ) ევაკუატორით მომსახურებას (მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევისას).

5.1.3. ავტოტრანსპორტის განადგურების (70%-ით ან მეტით დაზიანება) ან გატაცების შემთხვევაში, მიმწოდებელი/მზღვეველი შემსყიდველის/დამზღვევის არჩევანის შესაბამისად აუნაზღაურებს დამზღვევს/მოსარგებლეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის აღდგენით ან შენაცვლებით ღირებულებას ხელშეკრულებით, დანართი #1-ითა (მომსახურების გაწევის პირობები) და დანართი #2-ით (ფასების ცხრილი) დადგენილი წესით. სადაზღვევო ანაზღაურება მიმწოდებლის/მზღვეველის შეხედულებისამებრ შესაძლოა განხორციელდეს შემდეგი წესით:

- მიმწოდებელი/მზღვეველი გადაიხდის თანხას არაუმეტეს დაზღვეული ავტოტრანსპორტის დანართი #2-ით (ფასების ცხრილი) განსაზღვრული საბაზრო ღირებულებისა, ან;
- მიმწოდებელი/მზღვეველი შემსყიდველის/დამზღვევის სასარგებლოდ შეიძენს განაცხადში მითითებული მარკის, მოდელისა და მახასიათებლების შესაბამის ავტოტრანსპორტს.

5.1.4. სადაზღვევო ანაზღაურების გაცემით მიმწოდებელი/მზღვეველი თავისუფლდება შემსყიდველის/დამზღვევის წინაშე მასზე დაკისრებული ვალდებულებისაგან გადახდილი თანხის ფარგლებში.

5.1.5. ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში მოქმედებს სადაზღვევო ანაზღაურების განხორციელების შემდეგი წესი: სადაზღვევო შემთხვევის დადასტურების შემდგომ და ხელშეკრულების, დანართი #1-ისა (მომსახურების გაწევის პირობები) და დანართი #2-ის (ფასების ცხრილი) პირობების შესაბამისად, ზარალის შეფასება ხდება ერთობლივად, მხარეთა წარმომადგენლების მიერ. შემსყიდველი/დამზღვევი მიმწოდებელს/მზღვეველს წარუდგენს უფლებამოსილი ექსპერტის მიერ, ავტოტრანსპორტის შესაკეთებლად საჭირო თანხის ხარჯთაღრიცხვას. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი/მზღვეველი არ დაეთანხმება წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვას, იგი, თავისი უფლებამოსილი ექსპერტის მეშვეობით განხორციელებს ხარჯების ობიექტურ კორექტირებას ამორტიზაციისა თუ სხვა არსებით გარემოებათა გათვალისწინებით; შემსყიდველის/დამზღვევის მოთხოვნა შესაბამის ავტორიზებულ ავტო-ცენტრში მომსახურების მიღების თაობაზე მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ დაკმაყოფილდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტოტრანსპორტის ასაკი არ აღემატება 5 წელს.

5.1.6. ზარალის შეფასების აქტის (ხარჯთაღრიცხვის) შედგენის შემდეგ დგება სადაზღვევო შემთხვევის აქტი, რომლითაც მხარეები თანხმდებიან სადაზღვევო ანაზღაურების საბოლოო მოცულობაზე, რის შემდეგაც ანაზღაურების თანხა, ხელშეკრულებითა და დანართი #1-ით (მომსახურების გაწევის პირობები) დადგენილ ვადებში, გადაირიცხება შემსყიდველის/დამზღვევის (მოსარგებლის) მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზეზე.

5.1.7. როგორც ნაწილობრივი, ასევე მთლიანი (საბაზრო ღირებულების 70%-ით ან მეტით) დაზიანებისას მიმწოდებელი/მზღვეველი აანაზღაურებს სადაზღვევო შემთხვევის შედეგად დაზიანებული ავტოტრანსპორტის (მათ შორის მესამე პირის ავტოტრანსპორტი) შეთანხმებულ შემკეთებელ პუნქტამდე გადაყვანის ხარჯებს.

5.1.8. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი/მზღვეველი და შემსყიდველი/დამზღვევი ვერ შეთანხმდნენ ზარალის საბოლოო ოდენობაზე, ზარალის შეფასება მოხდება დამოუკიდებელი ექსპერტის მეშვეობით. ამასთან, ზარალის შეფასებაზე გასაწევი ხარჯების რეგულირების საკითხი განისაზღვრება შემდეგნაირად:

- ა) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მიმწოდებლის/მზღვეველის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს მიმწოდებელი/მზღვეველი ფარავს;
- ბ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება შემსყიდველის/დამზღვევის სურვილითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯებს მიმწოდებელი/მზღვეველი ფარავს;
- გ) იმ შემთხვევაში, თუ შეფასება (ექსპერტიზა) ტარდება მიმწოდებლისა/მზღვეველისა და შემსყიდველის/დამზღვევის ერთობლივი გადაწყვეტილებითა და ინიციატივით, ასეთ შეფასებაზე (ექსპერტიზაზე) გასაწევ ხარჯები თანაბრად ნაწილდება მიმწოდებელსა/მზღვეველსა და შემსყიდველს/დამზღვევს შორის.

5.1.9. დაზიანებული ავტოტრანსპორტის შესაკეთებლად გამოყენებული უნდა იქნას ახალი სათანადო ნაწილები/დეტალები.

5.1.9.1. ახალი ნაწილების/დეტალების გამოყენების ვალდებულება გავრცელდება მხოლოდ იმ სატრანსპორტო საშუალებასთან მიმართებაში, რომელიც შეკეთდება შესაბამის ავტორიზებულ სერვისცენტრში 5.1.5. პუნქტის თანახმად.

5.1.10. თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის აღმოჩნდება, რომ სადაზღვევო თანხა ნაკლებია დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო ღირებულებაზე (დანართი #1-ით განსაზღვრულ საბაზრო ღირებულებაზე) სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის, მაშინ, მიმწოდებელი/მზღვეველი ანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და სადაზღვევო ღირებულების (საბაზრო ღირებულების) შეფარდების შესაბამისად.

5.2. სამოქალაქო პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე:

5.2.1. თუ უბედური შემთხვევა გამოწვეულია დაზღვეული ავტოტრანსპორტით, რამაც, თავის მხრივ, გამოიწვია მესამე პირის გარდაცვალება, სხეულის დაზიანება ან რაიმე სახის ქონებრივი ზარალი, მაშინ, მიმწოდებელი/მზღვეველი ანაზღაურებს წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ხარჯებს იმ პირს (ან მის სრულფასოვლებიან კანონიერ წარმომადგენელს), რომელსაც ეხება დაზღვევა ხელშეკრულების, დანართი #1-ისა (მომსახურების გაწევის პირობები) და დანართი #2-ის (ფასების ცხრილი) პირობების მიხედვით.

5.2.2. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, სადაზღვევო თანხის ფარგლებში, წინამდებარე პირობების გათვალისწინებითა და მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე, ანაზღაურებას ექვემდებარება შემდეგი:

- დაზარალებული მესამე პირების სიცოცხლის და/ან ქონების გადასარჩენად ან ზიანის შესამცირებლად გაწეული მიზანშეწონილი ხარჯები;
- მესამე პირის პრეტენზიებთან დაკავშირებული სასამართლო ან სასამართლოს გარეშე პრეტენზიის განხილვის ხარჯები, აგრეთვე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გარემოებებისა და ზარალის ოდენობის დადგენის ხარჯები (აღნიშნული ხარჯების ანაზღაურება ხდება სადაზღვევო პოლისში მითითებული სადაზღვევო ლიმიტის 20%-ის ფარგლებში);
- დაზარალებული პირისათვის კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე გადასახდელი კომპენსაცია;
- სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია, თუ ამგვარი კომპენსაციის ოდენობა წერილობითი გზით შეთანხმებულია მიმწოდებელთან/მზღვეველთან და თუ დაზარალებული წერილობით დაადასტურებს, რომ მას არ გააჩნია არავითარი პრეტენზია სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით;

სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე კომპენსაციის ოდენობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ სადაზღვევო ლიმიტს, გამოანგარიშდება შემდეგი წესით:

- მესამე პირის გარდაცვალების ან ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის შემთხვევაში - მიყენებული მატერიალური ზიანის ოდენობა:
  - ა) ხელფასი (შემოსავალი), რომელიც დაზარალებულმა დაკარგა, თუ იგი ნაწილობრივ ან სრულად შრომისუუნარო შეიქმნა;
  - ბ) დამატებითი ხარჯები, რომლებიც გამოწვეულია ჯანმრთელობის დაზიანებით, მათ შორის მკურნალობის, დამატებითი კვების, მედიკამენტების, პროტეზირების, ზედამხედველობისა და მოვლის, სპეციალური სატრანსპორტო საშუალების შეძენის, პროფესიული გადამზადების ხარჯები, თუ დადგენილია, რომ დაზარალებულს ესაჭიროება აღნიშნული ტიპის დახმარება და არ აქვს მათი უფასოდ მიღების უფლება;
  - გ) ხელფასის (შემოსავლის) ნაწილი, რომელსაც დაზარალებულის გარდაცვალების შემთხვევაში დაკარგავენ შრომისუუნარო პირები, რომლებიც დაზარალებულის კმაყოფაზე იმყოფებოდნენ ან უფლება ჰქონდათ მიეღოთ მისგან სარჩო (რეგულარული გადახდების სახით);
- თუ მესამე პირ(ებ)ს ქონებრივი ზიანი მიადგება, სადაზღვევო ლიმიტის ფარგლებში, ანაზღაურებას ექვემდებარება:
  - ა) ქონების სრული განადგურების შემთხვევაში - დაკარგული ქონების საბაზრო ან აღდგენითი ღირებულების ოდენობას, ხელყოფილი ქონების სპეციფიკის გათვალისწინებით, გაუფასურებისა და დარჩენილი დეტალების, რომელთა გამოყენებაც კიდევ შესაძლებელია, ღირებულების გამოქვითვით;
  - ბ) ქონების ნაწილობრივი დაზიანების შემთხვევაში - დაზიანებამდე არსებულ მდგომარეობამდე მისაყვანად საჭირო შეკეთების ხარჯებს;

5.2.3. სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული რამოდენიმე ადამიანის სხეულის დაზიანების ან გარდაცვალების, ასევე, მესამე პირთა ქონების ხელყოფის შემთხვევაში, თუ მთლიანი ზარალის ოდენობა აღემატება ერთი სადაზღვევო შემთხვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის ლიმიტს, ანაზღაურება თითოეული დაზარალებულისათვის შემცირდება მიყენებული ზიანის საერთო ოდენობაში პასუხისმგებლობის ლიმიტის წილის გათვალისწინებით.

5.2.4. ერთი შემთხვევით გამოწვეული დანაკარგი განხილული იქნება ერთ სადაზღვევო შემთხვევად. არავის აქვს უფლება, ორჯერ მიიღოს ანაზღაურება წინამდებარე დაზღვევის თანახმად, ერთი და იგივე ზიანისთვის ან ზიანის რომელიმე ელემენტისათვის;

5.2.5. მესამე პირ(ებ)ისადმი მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელი მთლიანი თანხა, შემთხვევების რაოდენობის მიუხედავად, არ შეიძლება აღემატებოდეს პოლისით ამ დაფარვისათვის გათვალისწინებულ სადაზღვევო თანხას;

5.2.6. მიმწოდებელი/მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი, ასევე, პასუხისმგებლობაზე, რომელიც წარმოშობილია ნებისმიერი სხვა კონტრაქტის ან შეთანხმების საფუძველზე, გარდა წინამდებარე ხელშეკრულებისა.

5.2.7. მიმწოდებელი/მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი ქონებისათვის მიყენებულ ზიანზე, რომელიც წარმოადგენს უფლებამოსილი მძღოლის საკუთრებას, მინდობილი საკუთრების სახით ინახება მასთან, გადაიზიდება დაზღვეული ავტოტრანსპორტით ან დაზღვეულ ავტოტრანსპორტზე მიმავრებული ნებისმიერი მისაბმელით.

5.3. უფლებამოსილი მძღოლისა და მგზავრების დაზღვევა უბედური შემთხვევისაგან:

- 5.3.1. მგზავრების უბედური შემთხვევისაგან დაზღვევის პირობების შესაბამისად ანაზღაურებას ექვემდებარება მატერიალური ზიანი, რომელიც გამოწვეულია ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად დაზღვეული ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას მისი მგზავრების ჯანმრთელობის დაზიანებით/გარდაცვალებით;
- 5.3.2. მიმწოდებელი/მზღვეველი აუნაზღაურებს შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო ანაზღაურებას იმ პირს (ან მის სრულუფლებიან კანონიერ წარმომადგენელს), რომელსაც ეხება დაზღვევა ამ პირობების მიხედვით.
- 5.3.3. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დადასტურების შემთხვევაში, თითოეულ დაზარალებულზე (ერთ პირზე) პოლისით განსაზღვრული ქვე-ლიმიტის ფარგლებში, ანაზღაურებას ექვემდებარება:
- გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობის ხარჯებს;
  - საავადმყოფომდე მიყვანის ხარჯებს;
  - საავადმყოფოში მკურნალობის და ყოფნის ხარჯებს;
  - კიდურების/ორგანოების დაკარგვისთვის გათვალისწინებულ კომპენსაციას;
- დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში მის მემკვიდრეებს აუნაზღაურდებათ:
- ერთ პირზე მიმდინარე განსაზღვრული ლიმიტის 100%, დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის აღდგენისათვის უკვე გადახდილი თანხების გამოქვითვით; დაზარალებულის სიკვდილის შემთხვევაში, ანაზღაურების მიმდების არ არსებობის შემთხვევაში, მიმწოდებელი/მზღვეველი ანაზღაურებს მხოლოდ დაკრძალვის ხარჯებს, ერთ პირზე განსაზღვრული ქვე-ლიმიტის ფარგლებში.
- 5.3.4. გადაუდებელი ამბულატორიული მკურნალობისა და დაზარალებული პირის უახლოეს საავადმყოფოში ტრანსპორტირების ხარჯები გამოითვლება შესაბამისი სამედიცინო ქვითრების საფუძველზე, მაგრამ არაუმეტეს 100 (ასი) აშშ დოლარისა (ანგარიშსწორების დღეს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი შესაბამისი კურსით ლარში) ერთ პირზე;
- 5.3.5. კიდურის/ორგანოს დაკარგვისათვის ასანაზღაურებელი თანხის ოდენობა გამოითვლება ქვევით მოყვანილი საკომპენსაციო ცხრილის მიხედვით, სადაც 100%-ით ანაზღაურება უდრის შესაბამისი პასუხისმგებლობის ქვე-ლიმიტს ერთ პირზე (დაზარალებულის ჯანმრთელობის აღდგენისათვის/ტრანსპორტირებისათვის უკვე გადახდილი თანხების გამოქვითვით):
- ერთი თირკმლის დაკარგვა – 40%;
  - ერთ ყურში სმენის დაკარგვა – 15%;
  - ერთ ყურში სმენის დაკარგვა, თუ მეორეში სმენა უბედურ შემთხვევამდე იყო დაკარგული – 45%;
  - ერთ თვალში მხედველობის სრული და სამუდამო დაკარგვა – 30%;
  - მხედველობის 60%-ზე მეტით დაკარგვა ერთ თვალში – 20%;
  - მხედველობის სრული დაკარგვა – 100%;
  - ერთი კიდურის დაკარგვა – 40%;
- 5.3.6. რამოდენიმე ორგანოს დაზიანების შემთხვევაში, პირველი პროცენტული ანაზღაურების შემდეგ, ყოველი შემდგომი დამატებითი პროცენტი გამოითვლება პასუხისმგებლობის ლიმიტის დარჩენილი თანხიდან.
- 5.3.7. კიდურების დაკარგვაზე ან დაზიანებაზე გათვალისწინებული კომპენსაციის გადახდა ხორციელდება საავადმყოფოში მკურნალობის დასრულების და დაზიანების ხარისხის საბოლოო განსაზღვრის შემდეგ, მაგრამ მხოლოდ ერთი თვის შემდეგ ორგანოს ფუნქციის მოშლის მომენტიდან, იმ პირობით, რომ ამ პერიოდში დადასტურდება ორგანოს ფუნქციის სრული მუდმივი მოშლა;
- 5.3.8. მთლიანი ასანაზღაურებელი თანხა ერთ პირზე, შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის მოცულობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს პოლისით გათვალისწინებულ ქვე-ლიმიტს ერთ პირზე;
- 5.3.9. ასანაზღაურებელი თანხა, შემთხვევების რაოდენობისა და ზარალის ოდენობის მიუხედავად, არ უნდა აღემატებოდეს პოლისით გათვალისწინებულ სადაზღვევო ლიმიტს.
- 5.3.10. არ ანაზღაურდება დაზღვეული ავტოტრანსპორტის მგზავრების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება/გარდაცვალება, თუ ასეთი შემთხვევა დადგება ავტოსაგზაო შემთხვევის მომენტიდან 12 კალენდარული თვის გასვლის შემდეგ.

## 6. საერთო გამონაკლისები

მიმწოდებელი/მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი:

- 6.2. შემთხვევაზე, რომელიც შედეგად მოჰყვა გასაღების ავტომობილში დატოვებას, გასაღების არაუფლებამოსილი მძღოლისთვის გადაცემას, მათ შორის გასაღების ნებისმიერი დაცვის, პარკირების ან სხვა მსგავსი სამსახურისთვის გადაცემას; შუშების ჩაწეულ მდგომარეობაში ან კარების ღიად დატოვებას;
- 6.3. ცვეთაზე, კოროზიაზე, დაჟანგვაზე, თანდაყოლილ დეფექტზე, შეუსაბამო დიზაინზე, დეფექტური მასალების გამოყენებაზე და სხვა ბუნებრივ თვისებებზე, შეკეთებაზე ან შენაცვლებული ნაწილის იმ ღირებულებაზე, რომელიც მოხმარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტის სადაზღვევო შემთხვევის დადგომამდე არსებული მდგომარეობის გაუმჯობესებას;
- 6.4. დაზღვეული ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურებისა და საგარანტიო შეკეთების ხარჯებზე;

- 6.6. უბედურ შემთხვევაზე, დანაკარგზე ან დაზიანებაზე, რომლის ხდომილების დროს დაზღვეული ავტოტრანსპორტი იმყოფებოდა დაზიანებულ, მართვისათვის გამოუსადეგარ მდგომარეობაში;
- 6.7. შემთხვევაზე 21 წელზე ახალგაზრდა მძღოლის ასევე, მძღოლის, რომლის ასაკი აღემატება 75 წელს ან/და მართვის უფლებამოსილების არ მქონე მძღოლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვისას;
- 6.8. შემთხვევაზე დაზღვეული ავტოტრანსპორტის მართვისას არაუფლებამოსილი პირის მიერ, გარდა დაზღვეული ავტოტრანსპორტისათვის ქურდობა/მარცვა/ყაჩაღობით ან მათი მცდელობით მიყენებული დაზიანებისა;
- 6.10. შემთხვევაზე, რომელიც მოხდა ავტოტრანსპორტის მძღოლის ალკოჰოლური ან ნარკოტიკული (ფსიქოტროპული) ნივთიერებების ზემოქმედების ქვეშ ყოფნის დროს (მიუხედავად იმისა, ზარალი დაზღვეული ავტომანქანის უფლებამოსილი მძღოლის მიზეზით/ზრალით დადგა, თუ სხვა მესამე პირის მიზეზით/ზრალით); უფლებამოსილი მძღოლის თვითმკვლელობას ან თვითმკვლელობის მცდელობას ან ისეთ ორგანიზაციას ქმედებას, რომელიც მიზნად ისახავდა შემთხვევით გამოწვეული შედეგის დადგომას;
- 6.11. შემსყიდველის/დამზღვევის ან მისი წარმომადგენლის განზრახ ან სისხლის სამართლის კანონმდებლობით განსაზღვრულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებებზე;
- 6.12. გარემოებებზე, რომელიც ზრდის სადაზღვევო რისკის დადგომის ალბათობას, ცნობილია შემსყიდველის/დამზღვევის ან მისი წარმომადგენლისათვის და ამის შესახებ მან დაუყოვნებლივ არ აცნობა მიმწოდებელს/მზღვეველს წერილობითი ფორმით ან მიმწოდებელს/მზღვეველს მიეწოდა ყალბი ან არასრული ინფორმაცია (დოკუმენტები) აღნიშნულის შესახებ;
- 6.13. შემთხვევებზე, რომელიც გამოწვეულია:
- 6.13.1. იონიზირებული რადიაციით, ბირთვული ან სხვა სახის მავნე ნარჩენებიდან მიღებული რადიაციით და დაბინძურებით;
- 6.13.2. რადიოაქტიური, ფეთქებადი, ბირთვული ნივთიერების შემცველი აირის ბუნებრივი მდგომარეობის ცვლილებით;
- 6.14. შედეგებზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ გამოწვეულია საომარი მოქმედებებით, დაპყრობით, სამოქალაქო ომით, მიუხედავად იმისა, აღნიშნული მდგომარეობა გამოცხადებულია სახელმწიფო ხელისუფლების მიერ თუ არა, განსაკუთრებული, საგანგებო, სამხედრო მდგომარეობით, მასობრივი არეულობით, აჯანყებით, ლოკაუტით, დიქტატორული რეჟიმით, ადგილობრივი ან სახელმწიფო ხელისუფლების ბრძანების თანახმად საკუთრების საზოგადო მფლობელობაში გადაცემით, კონფისკაციით ან ჩამორთმევით, ტერორიზმით ან მისი ნებისმიერი გამოვლენით და სხვა ანალოგიური მიზეზებით;
- 6.15. შემთხვევებზე, როდესაც შემსყიდველი/დამზღვევი (დაზღვეული) მესამე პირის წინაშე თავის ვალდებულებებს აღიარებს მიმწოდებლის/მზღვეველის წერილობითი თანხმობის გარეშე;
- 6.16. შემთხვევებზე, როდესაც შემსყიდველი/დამზღვევი (დაზღვეული) დაზიანებული ავტოსატრანსპორტო საშუალების აღდგენით-სარემონტო სამუშაოებს განახორციელებს მიმწოდებელთან/მზღვეველთან შეუთანხმებლად;
- 6.17. დაზღვეული ავტოტრანსპორტის დაუდგენელი პირის მიერ ან დაუდგენელ ვითარებაში დაზიანების/განადგურების შემთხვევებში, თუ არ მოხდება მიმწოდებელთან/მზღვეველთან და საპატრულო პოლიციასთან დაუყოვნებლივი დაკავშირება (გარდა საქარე მინის სხვა მანქანიდან ასხლეტილი ქვით დაზიანებისა) და ადგილი ექნება მიმწოდებლის/მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე ავტოტრანსპორტის ადგილიდან დაძვრას (აღნიშნული არ ვრცელდება ავტოტრანსპორტის საპატრულო პოლიციის მოთხოვნის საფუძველზე გადაადგილების შემთხვევისას);
- 6.18. შემთხვევებზე, თუ იგი დადგა დადგენილი პარკირების წესების დარღვევის გამო შესაბამისი უფლებამოსილი პირების მიერ დაზღვეული ავტომანქანის საჯარიმო გადაყვანის/გადაადგილები დროს, ასევე, საჯარიმო სადგომზე განთავსებისას.



დანართი №2 - ფასების ცხრილი

N	ავტომანქანის მარკა და მოდელი	გამოშვების წელი	საბალანსო ღირებულება, ლარი	სავარაუდო დაზღვევის პერიოდი	ერთი თვის სადაზღვევო პრემია (ლარი)	სავარაუდო დაზღვევის პერიოდის საერთო სადაზღვევო პრემია
1	2	3	4	5	6	7
1	KIA OPTIMA CGC-998	2011	12001,21	12 თვე		
2	KIA PICANTO, GGJ-184	2013	8808,87	12 თვე		
3	FORD FIESTA, AF-041-FA	2014	10840,25	12 თვე		
4	FORD Ranger BB-984-VV	2014	29685,02	12 თვე		
5	Hyundai County Bus	2014	94378,55	12 თვე		
6	Renaut Logan CS-524-SC	2015	19 733,00	12 თვე		
7	Renaut Logan 00-128-GG	2015	19134,5	12 თვე		
8	FORD Ranger CS-761-SC	2015	51613,42	12 თვე		
9	ფილიპინი მტვირთავი CPCD35N-RW27, 3.5ტ AV-962-V	2015	36500,37	12 თვე		

სატენდერო წინადადების ფასი: ----- ლარი

**შენიშვნა:**

- პრეტენდენტმა უნდა შეავსოს ფასების ცხრილის მე-6 და მე-7 გრაფები.

ხელმოწერა, ბეჭედი -----

**დანართი №3 - რეკვიზიტების ფორმა**

**რეკვიზიტები:**

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

მომსახურე ბანკის დასახელება:

ბანკის კოდი:

ანგარიშის ნომერი:

**ხელმოწერა, ბეჭედი ----- თარიღი -----**

## დანართი №4 - სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტი

(სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფორმა და პირობები შესაძლებელია დაზუსტდეს ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მხარეთა მოლაპარაკების საფუძველზე)

ქ. გარდაბანი

, 2016 წ.

ერთის მხრივ, შპს „გარდაბნის თბოსადგური“ (შემდგომში - „შემსყიდველი“ ან „დამზღვევი“), წარმოდგენილი ..... სახით, და

მეორეს მხრივ, ..... (შემდგომში - „მიმწოდებელი“ ან „მზღვეველი“), წარმოდგენილი ..... სახით,

იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ..... წლის ..... შემსყიდველის მიერ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „...“ ქვეპუნქტის შესაბამისად გამოცხადებულ ტენდერში SPA.... გამარჯვებულად გამოცხადდა ....., ფასით ..... ლარი, ვთანხმდებით შემდეგზე:

### 1. ტერმინთა განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით, ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები;
- 1.2. „ხელშეკრულების ჯამური ღირებულება“ - საერთო თანხა, რომლის ფარგლებშიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრულად და ზედმიწევნით შესრულებისთვის;
- 1.3. „შემსყიდველი“ („დამზღვევი“) - ორგანიზაცია (დაწესებულება), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
- 1.4. „მიმწოდებელი“ („მზღვეველი“) - პირი რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და წევს მომსახურებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;
- 1.5. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს;
- 1.6. მოსარგებლე - პირი, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად უფლებამოსილია, მიიღოს სადაზღვევო ანაზღაურება;
- 1.7. სადაზღვევო შემთხვევა - მოულოდნელი მოვლენა, რომლის დადგომის შედეგად წარმოიშობა მიმწოდებლის/მზღვეველის ვალდებულება, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- 1.8. სადაზღვევო თანხა - თანხა, რომლის ფარგლებშიც გაიცემა სადაზღვევო ანაზღაურება; სადაზღვევო თანხის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის აღდგენით და/ან შენაცვლებით ღირებულებას; თითოეული დაზღვევის ობიექტის სადაზღვევო თანხა აღნიშნული იქნება შესაბამის სადაზღვევო პოლისში, რომელზედაც გავრცელდება წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები და პირობები;
- 1.9. სადაზღვევო ანაზღაურება - თანხა, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას გაიცემა მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ მოსარგებლის სახელზე;
- 1.10. სადაზღვევო პრემია - თანხა, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დაზღვევის საფასურს;
- 1.11. ფრანშიზა - შესაბამის სადაზღვევო პოლისში მითითებული არანაზღაურებადი მინიმუმი, რომელზეც მიმწოდებელი/მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი და რომელიც აკლდება ზარალის ოდენობას;
- 1.12. სადაზღვევო პერიოდი (დაზღვევის მოქმედების ვადა) - კონკრეტულ სადაზღვევო პოლისში მითითებული პერიოდი, რომლის განმავლობაშიც დაზღვევა ძალაშია და რომლის დროსაც დამდგარი შემთხვევები ექვემდებარება ანაზღაურებას.;
- 1.13. სადაზღვევო პოლისი - წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე განხორციელებული დაზღვევის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- 1.14. დაზღვევის განაცხადი - მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით შემსყიდველის/დამზღვევის მიერ შესავსები კითხვარი, რომელშიც აისახება დაზღვევის განხორციელებისათვის აუცილებელი მიმწოდებლისათვის/მზღვეველისათვის საინტერესო გარემოებები.
- 1.15. უფლებამოსილი მძღოლი - შემსყიდველის/დამზღვევის ნებისმიერი თანამშრომელი ან პირი/ები, რომელიც შემსყიდველის/დამზღვევის შესაბამის განაცხადსა და პოლისში განსაზღვრულია როგორც უფლებამოსილი მძღოლი და რომლის მიერ ავტოტრანსპორტის მართვის დროსაც დაზღვევა ძალაშია (უფლებამოსილი მძღოლი აუცილებლად უნდა იყოს არანაკლებ 21 და არაუმეტეს 75 წლის და უნდა გააჩნდეს მართვის უფლებამოსილება, მინიჭებული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად);
- 1.16. ავტოტრანსპორტის სრული დაზიანება (განადგურება) - ავტომანქანის დაზიანება 70%-ით ან მეტით. სატრანსპორტო საშუალება ითვლება განადგურებულად (სრული დაზიანება), თუ ავტოტრანსპორტის აღდგენითი ღირებულება მისი საბაზრო ღირებულების 70%-ს ან მეტს შეადგენს ან თუ განადგურებულია ავტომანქანის 70% ან მეტი;

1.17. ავტოტრანსპორტის საბაზრო ღირებულება – ფულადი თანხა, რომელიც საჭიროა ადგილობრივ ბაზარზე დაზღვეული ავტოტრანსპორტის ანალოგიური მარკის, მოდელის და სხვა მახასიათებლების მქონე ავტოტრანსპორტის შესაძენად;

1.18. გამომუშავებული სადაზღვევო პრემია – სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის დასაწყისიდან ასეთ თარიღამდე განვლილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა;

1.19. გამოუმუშავებელი სადაზღვევო პრემია - სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში კონკრეტული თარიღისათვის, სადაზღვევო პერიოდის ამოწურვამდე დარჩენილი დროის მონაკვეთის პროპორციული პრემიის ოდენობა.

## **2. ხელშეკრულების საგანი (CPV66514110)**

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის/დამზღვევის მიერ ავტოტრანსპორტის სადაზღვევო მომსახურების (შემდგომში - მომსახურება) სახელმწიფო შესყიდვა, თანდართული ტექნიკური პირობების დანართი №1-ისა (მომსახურების გაწევის პირობები) და დანართი №2-ის (ფასების ცხრილი) შესაბამისად.

2.2. მიმწოდებელმა/მზღვეველმა უნდა უზრუნველყოფს დანართი №2-ით (ფასების ცხრილი) განსაზღვრული შემსყიდველის/დამზღვევის კანონიერ სარგებლობაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის დაზღვევა. მიმწოდებელი/მზღვეველი ვალდებულია განახორციელოს სადაზღვევო მომსახურება ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის განმავლობაში.

2.3. მომსახურების ჩამონათვალი, მახასიათებლები, პირობები, ვადები და ღირებულება მოცემულია წინამდებარე ხელშეკრულების დანართი №1 და №2-ში, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2.4. მომსახურების განხორციელების არეალი: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი.

## **3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების სავარაუდო ჯამური ღირებულება შეადგენს ..... (.....) ლარს და მოიცავს მიმწოდებლის/მზღვეველის ყველა ხარჯს დაკავშირებულს მომსახურების შემსყიდველისათვის/დამზღვევისათვის მიწოდებასთან, მათ შორის, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, მოსაკრებელსა და სახდელს.

## **4. ანგარიშსწორება**

4.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან/მზღვეველთან განხორციელდება ლარში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, კვარტალურად, ფაქტიურად განხორციელებული მომსახურების შესაბამისად, ყოველი საანგარიშო კვარტლის მომდევნო თვის 10 რიცხვამდე მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ წარმოდგენილი ინვოისისა და მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშსწორების ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს მომდევნო სამუშაო დღეს). მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის დროულად (საანგარიშო თვის მომდევნო თვის 9 რიცხვამდე) გაუფორმებლობის შემთხვევაში, ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და ინვოისის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის ვადაში, თუ მომსახურების მიწოდება განხორციელდება არასრულ თვეზე, მაშინ ასანაზღაურებელი თანხა დაანგარიშდება დღეების პროპორციულად;

## **5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი**

5.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის/დამზღვევის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

5.2. კონტროლი განხორციელდება შემდეგი ფორმებით:

5.2.1. ხელშეკრულების და/ან შეკვეთის პირობებთან გაწეული მომსახურების ხარისხისა და რაოდენობის (მოცულობის) შესაბამისობის შემოწმება;

5.2.2. მომსახურების გაწევის შეთანხმებული ვადების და რაოდენობის (მოცულობის) დაცვის მონიტორინგი;

5.2.3. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული კონტროლისა და ინსპექტირების ნებისმიერი მეთოდით.

5.3. კონტროლი ხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე, გაწეული მომსახურების მიღებისას, აგრეთვე მიღების შემდეგ, მათ შორის, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების არსებობის პერიოდში.

5.4. კონტროლის განხორციელებისას ინსპექტირების ჯგუფი საჭიროების შემთხვევაში აწარმოებს და შეინახავს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების მიმდინარეობის ამსახველ პერიოდულ დოკუმენტაციას.

5.5. ყოველი გამოვლენილი დეფექტის და/ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს/მზღვეველს.

5.6. ინსპექტირების ჯგუფი ახორციელებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების პროცესის რეგულირებას.

## **6. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

### **6.1. მიმწოდებელი/მზღვეველი ვალდებულია:**

- 6.1.1. განხორციელებული დაზღვევის დასადასტურებლად გადასცეს შემსყიდველს/დამზღვევს შესაბამისი დაზღვევის პოლისი, ამასთან, დაზღვევის განსახორციელებლად უზრუნველყოს შემსყიდველი/დამზღვევი შესაბამისი განაცხადის ფორმით;
- 6.1.2. მიიღოს შემსყიდველის/დამზღვევის განცხადება სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ განხილვისთვის;
- 6.1.3. შეადგინოს სადაზღვევო აქტი სადაზღვევო შემთხვევის შესახებ და განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა;
- 6.1.4. მოახდინოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემა წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და წესით ანაზღაურებისთვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღების საფუძველზე შედგენილი სადაზღვევო შემთხვევის აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შესაბამისი ვადა კონკრეტული შემთხვევისათვის. ხოლო მესამე პირთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით ზიანის მიყენების, ქურდობა, მარცვა, ყაჩაღობის, (მათი მცდელობის) რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, სადაზღვევო ანაზღაურება გაცემა ანაზღაურების გაცემისათვის აუცილებელი ყველა საჭირო დოკუმენტის მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული თვის ვადაში; მიმწოდებელი/მზღვეველი უფლებას იტოვებს გადაავადოს ანაზღაურების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თუ სადაზღვევო რისკის ხდომილების ფაქტთან დაკავშირებით დამზღვევის, უფლებამოსილი მძღოლის, (მოსარგებლის) ან მისი წარმომადგენლის მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე;
- 6.1.5. თუ დამზღვევსა (დაზღვეულს) და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარი შემთხვევის გამო, მიმწოდებელი/მზღვეველი ანაზღაურებს ზარალს სასამართლო გადაწყვეტილების (დაზღვეულის /უფლებამოსილი მძღოლის/ მიერ მესამე პირისათვის (პირებისათვის) მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;
- 6.1.6. განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და კანონმდებლობის მოთხოვნები.

### **6.2. მიმწოდებელი/მზღვეველი უფლებამოსილია:**

- 6.2.1. გააკონტროლოს შემსყიდველის/დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებისა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისის პირობებისა და მოთხოვნების შესრულება;
- 6.2.2. შეწყვიტოს სადაზღვევო პოლისის მოქმედება და შესთავაზოს დამზღვევს, ახალი სადაზღვევო პოლისის დადება შეცვლილი სახით იმ შემთხვევაში, თუ შეიცვალა ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის პირობები;
- 6.2.3. ცალმხრივად შეწყვიტოს დაზღვევის ხელშეკრულების (პოლისის) მოქმედება და წერილობით შეატყობინოს შემსყიდველს/დამზღვევს აღნიშნულის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ გამოვლინდება, რომ შემსყიდველის/დამზღვევის მიერ განაცხადში მითითებული მონაცემები და გარემოებები არ შეესაბამება სინამდვილეს ან ყალბია.
- 6.2.4. გაგზავნოს შესაბამისი შეკითხვები კომპეტენტურ ორგანოებში დაზღვევისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან დაკავშირებით;
- 6.2.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოითხოვოს შემსყიდველისაგან/დამზღვევისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა ის ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელსაც მიმწოდებელი/მზღვეველი მიიჩნევს საჭიროდ სადაზღვევო შემთხვევის ობიექტურად შეფასებისათვის;
- 6.2.6. მოახდინოს შემსყიდველის/დამზღვევის დაზიანებული ავტომანქანის დათვალიერება და ფოტოგადაღებები, ასევე, მონაწილეობა მიიღოს მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების დათვალიერებასა და ფოტოგადაღებებში;
- 6.2.7. შეადგინოს დაზიანებული სატრანსპორტო საშუალების (ასევე, მესამე პირის დაზიანებული ან განადგურებული ქონების) შეკეთების/აღდგენითი ღირებულების კალკულაცია (ხარჯთაღრიცხვა);
- 6.2.8. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს შემსყიდველის/დამზღვევის მიმართ მესამე პირის მოთხოვნის (სარჩელის) დასაბუთებულობა, სიდიდე და მისი არსებობის საფუძვლიანობა;
- 6.2.9. მოითხოვოს დამზღვევისგან, რათა ამ უკანასკნელმა გადასცეს მიმწოდებელს/მზღვეველს საკუთრების უფლება სადაზღვევო შემთხვევის გამო მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ შეცვლილ ავტოტრანსპორტის ნაწილებზე, დაზღვეული ავტომანქანის განადგურების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას – განადგურებულ ავტომანქანაზე, ხოლო გატაცების გამო სრული სადაზღვევო თანხის გაცემისას დაკარგული ავტომანქანის პოვნის შემთხვევაში – ნაპოვნ სატრანსპორტო საშუალებაზე. შესაბამისად, შემსყიდველი/დამზღვევი იღებს ვალდებულებას შეასრულოს ყველა ის ქმედება, რომელიც აუცილებელი და გათვალისწინებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით აღნიშნული მიზნის მისაღწევად. ამასთან, ხსენებული უფლების რეალიზაცია მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ შეიძლება განხორციელდეს ავტოტრანსპორტზე საკუთრების უფლების გადმოსვლით ან შემსყიდველის/დამზღვევის მიერ ავტოტრანსპორტის რეალიზაციის შემთხვევაში, ფულადი ფორმით თანხის მიღების გზით, ამასთან, ავტოტრანსპორტის რეალიზაციასთან დაკავშირებულ ყველა საკითხს შემსყიდველი/დამზღვევი წინასაწარ ათანხმებს მზღვეველთან. შემსყიდველის/დამზღვევის მიერ წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა ათავისუფლებს მიმწოდებელს/მზღვეველს სადაზღვევო

ანაზღაურების გადახდისაგან, ხოლო თუ ასეთი ანაზღაურება უკვე გაცემულია, მიმწოდებელს/მზღვეველს ანიჭებს გაცემული თანხის უკან მოთხოვნის უფლებამოსილებას;

6.2.10. არ აანაზღაუროს ზარალი შემსყიდველის/დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

6.2.11. არ აანაზღაუროს წარმოშობილი ზიანის ოდენობაზე მეტი თანხა;

6.2.12. თუ სადაზღვევო ანაზღაურების მომენტისათვის შემსყიდველს/დამზღვევს ერიცხება დავალიანება, ანაზღაურების თანხიდან გამოქვითოს შესაბამისი დავალიანების თანხა.

### **6.3. შემსყიდველი/დამზღვევი ვალდებულია:**

6.3.1. განუზრელად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი პირობები და ნაკისრი მოვალეობები;

6.3.2. უზრუნველყოს მიმწოდებელი/მზღვეველი სადაზღვევო ხელშეკრულების დასაღებად აუცილებელი ინფორმაციით;

6.3.3. დროულად და სრულად გადაიხადოს სადაზღვევო პრემია;

6.3.4. წინამდებარე ხელშეკრულების დასაღებად და კონკრეტული დაზღვევის განსახორციელებლად წარმოდგენილ მონაცემებში ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში (მაგ., ავტოტრანსპორტის გასხვისება, სადაზღვევო რისკის ხარისხის გაზრდა, უფლებამოსილი მძღოლის შეცვლა-დამატება, ავტომანქანის გასაღების ან სიგნალიზაციის პულტის დაკარგვა და ა.შ.) შეატყობინოს ამის შესახებ მიმწოდებელს/მზღვეველს წერილობითი ფორმით დაუყოვნებლივ, არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღისა, ასეთი ცვლილების წარმოშობის შეტყობის მომენტიდან;

6.3.5. სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან არაუგვიანეს 24 საათისა, აცნობოს ამის შესახებ მიმწოდებლის/მზღვეველის ქოლ ცენტრს სადაზღვევო პოლისში მითითებულ ნომერზე, ხოლო 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში წერილობითი ფორმით გაუგზავნოს მიმწოდებელს/მზღვეველს შეტყობინება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ;

6.3.6. მიიღოს ობიექტურად შესაძლო ყველა ზომა დაზღვევის საგნის გადასარჩენად და ზიანის მოცულობის მაქსიმალურად შესამცირებლად;

6.3.7. მიმწოდებლის/მზღვეველის წარმომადგენლის მისვლამდე უზრუნველყოს სადაზღვევო შემთხვევის ადგილზე არსებული მდგომარეობის შენარჩუნება ობიექტური შესაძლებლობისა და მოქალაქეობრივი უფლებამოსილების ფარგლებში;

6.3.8. გაუწიოს მიმწოდებელს/მზღვეველს სათანადო დახმარება, ხელი შეუწყოს, მიიღოს მონაწილეობა სადაზღვევო შემთხვევის გამოძვევი მიზეზების, მისი დადგომის გარემოებების, შედეგებისა და მიყენებული ზიანის სიდიდის სრულ და ობიექტურ გამოკვლევაში, დადგენასა და შეფასებაში და არ იმოქმედოს მიმწოდებლის/მზღვეველის ინტერესების საწინააღმდეგოდ;

6.3.9. დაუყოვნებლივ შეატყობინოს მიმწოდებელს/მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებით მის მიერ მიღებული ნებისმიერი უწყების, შეტყობინების ან გზავნილის შესახებ;

6.3.10. საკუთარი უფლებამოსილებისა და შესაძლებლობის ფარგლებში ხელი შეუწყოს მიმწოდებელს/მზღვეველს მის მიერ რეგრესის უფლების განხორციელებაში;

6.3.11. დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს/მზღვეველს ავტოსატრანსპორტო შემთხვევასთან დაკავშირებით მის წინააღმდეგ აღძრული ნებისმიერი სარჩელის თაობაზე და იურიდიულ პროცედურებზე, აგრეთვე, გაცხადებულ ნებისმიერ პრეტენზიაზე;

6.3.12. ყველა ღონე იხმაროს დაზღვეული ავტოსატრანსპორტის უსაფრთხოების დასაცავად;

6.3.13. მიანიჭოს სრული თავისუფლება მზღვეველს, რათა ამ უკანასკნელს მიეცეს საშუალება სურვილისამებრ ნებისმიერ დროს შეამოწმოს დაზღვეული ავტოსატრანსპორტის მდგომარეობა;

6.3.14. ზედმიწევნით დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების ყველა დებულების მოთხოვნა და მიაწოდოს მიმწოდებელს/მზღვეველს ყველა საჭირო და შესაბამისი ინფორმაცია და დოკუმენტაცია, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის საფუძველს;

6.3.15. ავტოსატრანსპორტის მეთვალყურეობის გარეშე დატოვების შემთხვევაში ჩაკეტოს იგი;

6.3.16. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაუყოვნებლივ აცნობოს აღნიშნულის შესახებ შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს;

6.3.17. სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას წარუდგინოს მიმწოდებელს/მზღვეველს ქვემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მე-6 მუხლის 6.3.5. პუნქტის შესაბამისად;

ბ) სადაზღვევო პოლისის ორიგინალი (სადაზღვევო პერიოდში პოლისის დაკარგვის შემთხვევაში, შემსყიდველის/დამზღვევის წერილობითი განცხადების საფუძველზე გაიცემა პოლისის დუბლიკატი, ხოლო დაკარგული პოლისი ძალადაკარგულად ითვლება და მის საფუძველზე წარმოდგენილი მოთხოვნები ანაზღაურებას არ ექვემდებარება);

გ) შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ ოფიციალური ფორმით გაცემული (დამოწმებული უფლებამოსილი პირის ბეჭდითა და ხელმოწერით) სადაზღვევო შემთხვევის დამადასტურებელი დოკუმენტი, ორიგინალის სახით;

საგზაო შემთხვევისას – ცნობა საპატრულო პოლიციიდან დაწესებული ფორმით, სადაც აღნიშნული უნდა იყოს: ავტოსაგზაო შემთხვევის ადგილი და თარიღი, ავტოსაგზაო შემთხვევის ყველა მონაწილის ვინაობა, შემთხვევის მოხდენაზე პასუხისმგებელი პირი (პირები), აგრეთვე, საქმისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა გარემოებები; ასევე, საგზაო შემთხვევის სქემა;

დ) ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო (ტექპასპორტის) მოწმობის ასლი; ორიგინალი კი – ქურდობის, ასევე, სრული განადგურების შემთხვევაში;

ე) მძღოლის მართვის მოწმობის ასლი;

ვ) მძღოლის სიფხიზლის ცნობა;

ზ) შეტყობინება დაზარალებული მესამე პირის (პირების) მიერ პრეტენზიის წაყენების შესახებ;

თ) დოკუმენტები სამედიცინო დაწესებულებიდან, რომელთაც დაზარალებულთა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე კომპეტენტური ექსპერტიზის ჩატარებისა და საექსპერტო დასკვნის გაკეთების უფლება აქვთ (სავადმყოფო ფურცლის ასლი, ცნობა მკურნალობის შესახებ, საექსპერტო კომისიის დასკვნა და სხვა);

ი) თუ დაზღვეულის გარდაცვალების გამო ან სხვა მიზეზთა გათვალისწინებით, სხვა პირი იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას, დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მოსარგებლის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლებამოსილებას, გარდაცვალების შემთხვევაში, ასეთი დოკუმენტია სამკვიდრო მოწმობა, რომელიც განსაზღვრავს მემკვიდრის წილს მამკვიდრებლის სამკვიდროში;

კ) იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეულსა და დაზარალებულს შორის მიმდინარეობს დავა მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით – ანაზღაურების გაცემის საფუძველია სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, რომელიც ადასტურებს შემსყიდველის/დამზღვევის პასუხისმგებლობის დადგომას მესამე პირთათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე, ამასთან, ანაზღაურების გაცემის საფუძველი არ არის ისეთი შემთხვევები, როდესაც შემსყიდველი/დამზღვევი საქმის სასამართლო განხილვის ეტაპზე თავად სცნობს სარჩელს ან მის ნაწილს მიმწოდებელთან/მზღვევლთან წინასწარი წერილობითი შეთანხმების გარეშე;

ლ) მოსარგებლის პირადობის მოწმობის ასლი;

მ) თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომა გამოწვეული მესამე პირის ქმედებით, მიმწოდებელს/მზღვეველს უნდა წარმოუდგინოს ასეთი მესამე პირის შესახებ ინფორმაცია, კერძოდ: სახელი, გვარი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი;

ნ) იმ შემთხვევაში, თუ დაზღვეული ავტომანქანა არ წარმოადგენს შემსყიდველის/დამზღვევის (მოსარგებლის) საკუთრებას ანუ ტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობაში მესაკუთრედ სხვა პირი არის მითითებული – ასეთი პირის წერილობითი განცხადება მოსარგებლისათვის ანაზღაურების მიღების უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე.

6.3.18. მუდამ თან იქონიოს დაზღვეული ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო მოწმობა და არავითარ შემთხვევაში არ დატოვოს იგი ავტოტრანსპორტში. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიმწოდებელს/მზღვეველს უფლება აქვს, უარი განაცხადოს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე ქურდობის შემთხვევებში;

6.3.19. დაფაროს საგზაო შემთხვევის გამო ავტომანქანის საჯარიმო სადგომზე ყოფნის ხარჯები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხსენებული თანხა დააკლდება მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების სახით გასაცემ თანხას;

6.3.20. თუ შემსყიდველის/დამზღვევის მიერ წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით გათვალისწინებული დაზღვევის ინტერესი ერთდროულად რამდენიმე მიმწოდებელთან/მზღვეველთან არის დაზღვეული, შემსყიდველი/დამზღვევი ვალდებულია აღნიშნულის თაობაზე განახორციელოს მიმწოდებლის/მზღვეველის ინფორმირება და შესაბამის წერილობით შეტყობინებაში აღნიშნოს სხვა მზღვეველების ვინაობა და სადაზღვევო თანხის ოდენობა. ასეთ შემთხვევაში, ანუ თუ დაზღვეული ინტერესი რამდენიმე მიმწოდებელთან/მზღვეველთან აღმოჩნდება დაზღვეული ერთი და იმავე რისკისაგან და სადაზღვევო თანხები ჯამში საბაზრო ღირებულებას აჭარბებს, მზღვეველები შემსყიდველის/დამზღვევის წინაშე ვალდებული არიან, როგორც სოლიდარული მოვალეები იმ თანხის ფარგლებში, რომელიც გათვალისწინებულია შემსყიდველთან/დამზღვევთან გაფორმებულ შესაბამის დაზღვევის ხელშეკრულებაში (სადაზღვევო პოლისში), მაგრამ შემსყიდველს/დამზღვევს არ აქვს უფლება მიიღოს ჯამში რეალურ ზიანზე მეტი თანხა.

#### 6.4. შემსყიდველი/დამზღვევი უფლებამოსილია:

6.4.1. განხორციელებული დაზღვევის დასტურად მოითხოვოს შესაბამისი სადაზღვევო პოლისი;

6.4.2. სადაზღვევო შემთხვევის დადასტურებისას მოითხოვოს სადაზღვევო ანაზღაურების მიღება წინამდებარე ხელშეკრულებითა და შესაბამისი სადაზღვევო პოლისით დადგენილი წესითა და ოდენობით.

## 7. ხარისხი

7.1. გაწეული მომსახურების ხარისხი ერთდროულად უნდა შეესაბამებოდეს ამ ხელშეკრულების დანართების და საქართველოში მოქმედი სტანდარტების მოთხოვნებს.

## 8. უფლებების გადაცემა

8.1. დაუშვებელია მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობების მთლიანად ან ნაწილობრივ სხვა პირისთვის გადაცემა შემსყიდველის/დამზღვევის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებას, რომლის გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში, უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება ამ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების შესახებ, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით. შეთანხმების შემთხვევაში გადავადებულ პერიოდზე მხარეს არ დაეკისრება პირგასამტეხლო.

## 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა ან შემსყიდველისათვის/დამზღვევისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

10.4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10% მეტი ოდენობით გაზრდა.

10.5. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ორმხრივად ხელმოწერილი წერილობითი დოკუმენტის შედგენით, რაც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

10.6. ხელშეკრულებაში დამატებების და/ან ცვლილებების შეტანის დოკუმენტს ხელს აწერენ მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლები.

## 11. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

11.1. მიმწოდებლის/მზღვეველის მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელს/მზღვეველს, წინასწარი შეტყობინების გარეშე, დაეკისრება შემსყიდველისათვის/დამზღვევისათვის შემდეგი ოდენობის პირგასამტეხლოს გადახდა:

11.1.1. მომსახურების მიუწოდებლობისათვის (მათ შორის ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში, უხარისხო, არასრული მოცულობით) ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,1% ოდენობით ყოველდღიურად.

11.1.2. შემსყიდველი/დამზღვევი უფლებამოსილია ანგარიშსწორებისას მიმწოდებელს/მზღვეველს გამოუქვითოს პირგასამტეხლოს სახით მასზე დარიცხული თანხა.

11.2. პირგასამტეხლოს დარიცხვის მიუხედავად, შემსყიდველი/დამზღვევი უფლებამოსილია:

11.2.1. ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვით, შეწყვიტოს ან შეინარჩუნოს ეს ხელშეკრულება;

11.2.2. მიიღოს/აანაზღაუროს მომსახურების მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, ხოლო მომსახურების იმ ნაწილზე, რომელიც არ შეესაბამება ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებს დაარიცხოს პირგასამტეხლო 11.1.1. ქვეპუნქტის შესაბამისად;

11.3. შემსყიდველის/დამზღვევის მიერ ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ანაზღაურების შეთანხმებულ ვადაში მიმწოდებლისათვის/მზღვეველისათვის გადაუხდელობის შემთხვევაში შემსყიდველს ეკისრება მიმწოდებლისათვის/მზღვეველისათვის პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ სამუშაო დღეზე გადაუხდელი თანხის 0,1%-ის ოდენობით, მაგრამ არა უმეტეს გადაუხდელი თანხის 2%-ისა.

11.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ამ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისგან.

11.5. დღეების მიხედვით დარიცხვადი პირგასამტეხლოს დარიცხვა წყდება ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდეგ.

11.6. თუ ხელშეკრულების შეწყვეტის ან მოქმედების ვადის გასვლის გამო დღეების მიხედვით პირგასამტეხლოს დარიცხვა ვერ ხორციელდება ან დარიცხული პირგასამტეხლოს ჯამი იქნება ხელშეკრულების ღირებულების 2%-ზე



ნაკლები, მიმწოდებელს/მზღვეველს დაეკისრება მხოლოდ ფიქსირებული პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 2%-ის ოდენობით.

## 12. ხელშეკრულების შეწყვეტა

12.1. ეს ხელშეკრულება შეიძლება ვადამდე შეწყდეს:

12.1.1. ორმხრივი წერილობითი შეთანხმებით ნებისმიერ დროს;

12.1.2. ნებისმიერი მხარის ინიციატივით, ცალმხრივად, თუ მეორე მხარე არ/ან არაჯეროვნად ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას, რის თაობაზეც ამ მეორე მხარეს წერილობით მიეცა გაფრთხილება და ამ დარღვევის გამოსასწორებლად მიეცა დამატებითი ვადა არანაკლებ 5 დღის ოდენობით. ამასთან, დამატებითი ვადა შეიძლება არ მიეცეს, თუ აშკარაა, რომ მას შედეგი არ ექნება, ან ვალდებულების არ ან არაჯეროვნად შესრულების გამო შეწყვეტის ინიციატორ მხარეს ხელშეკრულების საგნისადმი ინტერესი ეკარგება, ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

12.2. ხელშეკრულების შეწყვეტა (მათ შორის, ვადის გასვლის გამო შეწყვეტა) არ ათავისუფლებს მხარეებს:

12.2.1. იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც ხელშეკრულების შეწყვეტამდე წარმოიშვა ან/და მოთხოვნის უზრუნველყოფის დამატებით საშუალებად გამოიყენება (ამ მოთხოვნის არსებობის პერიოდში);

12.2.2. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილების ვალდებულებისაგან (ზიანის არსებობის შემთხვევაში).

12.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს/მზღვეველს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის ფორს-მაჟორის შემთხვევაში, როდესაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეუძლებელია.

13.2. „ფორს-მაჟორის“ ქვეშ იგულისხმება გარემოება, რომელიც არ არსებობდა ამ ხელშეკრულების დადებისას და რომლის თავიდან აცილება, ან გადალახვა მხარეს არ შეეძლო, კერძოდ: საომარი მდგომარეობა/საბრძოლო მოქმედება, წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი, გაფიცვა, ეპიდემია და სხვა მსგავსი გარემოებანი.

13.3. მხარე, რომლისთვისაც ფორს-მაჟორის გამო შეუძლებელი შეიქმნა ვალდებულებების შესრულება, ვალდებულია დაუყოვნებლივ (ფორს-მაჟორის დადგომიდან არა უგვიანეს 2 სამუშაო დღისა) აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებადობის შესახებ. შეუტყობინებლობის ან დაგვიანებით შეტყობინების შემთხვევაში იგი კარგავს უფლებას დაეყრდნოს ფორს-მაჟორის არსებობას, როგორც პასუხისმგებლობისგან განთავისუფლების საფუძველს. შეტყობინებაში მითითებული ფორს-მაჟორის ფაქტი უნდა დადასტურდეს.

13.4. ფორს-მაჟორის მიუხედავად მხარე, რომლისთვისაც ნაკისრი ვალდებულების შესრულება შეუძლებელი ხდება, კეთილსინდისიერებისა და გონიერების ფარგლებში, მიმართავს ვალდებულების შესრულების ყველა შესაძლო ალტერნატიულ ხერხს.

13.5. თუ ფორს-მაჟორული მდგომარეობა 30 დღეზე მეტ ხანს გრძელდება, მაშინ მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება.

## 14. სადაო საკითხების გადაწყვეტა

14.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის ამ ხელშეკრულებასა ან მის განხორციელებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სადაო საკითხი მოლაპარაკების მეშვეობით მოაგვარონ.

14.2. თუ სადავო საკითხი მოლაპარაკებით ვერ მოგვარდა, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 15. გადასახადები და დაბეგრა

15.1. მიმწოდებელი/მზღვეველი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## 16. შეტყობინება

16.1. თუ ამ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების ფარგლებში ნებისმიერი ოფიციალური ურთიერთობა წარმოებს წერილობითი ან ელექტრონული ფორმით. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

16.2. შემსყიდველის/დამზღვევის მიერ შეტყობინება მიწოდებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ მან შეტყობინება გაგზავნა მიმწოდებლის/მზღვეველის ყოფილ მისამართზე, რომელიც მიმწოდებელმა/მზღვეველმა შეცვალა, მაგრამ ამის თაობაზე არ აცნობა შემსყიდველს. ამ შემთხვევაში შეტყობინება მიწოდებულად ითვლება გაგზავნის მეორე სამუშაო დღეს.

## **17. სხვა პირობები**

17.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

17.2. ხელშეკრულების დანართები წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

17.3. ყველა სხვა საკითხი რაც არ რეგულირდება ამ ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

17.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 ეგზემპლარად.

## **18. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები**